პოპური

დავით ქართველიშვილი

თბილისი
გამომცემლობა აზრი
2001

ავტორი მადლობას უძღვნის ბიორბი ბოდაბრელიძეს,
ვისი გულისხმიერი შეწევნითაც დაიბეჭდა ეს წიგნი.

გამომცემლობა აზრი
თბილისი, მერაბ კოსტავას 14, I სართული
ტელ.: 99 01 06 ფაქსი: 98 97 87
ელ. ფოსტა: mcrc@ip.osgf.ge

ყველა უფლება დაცულია.
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით,
იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური,
მათ შორის ფოტოპირის გადაღება და
მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან
გადაცემულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის
წერილობითი ნებართვის გარეშე

პირველი გამოცემა

Copyright © *დავით ქართველიშვილი* 2001
Copyright © *გამომცემლობა აზრი* 2001

ISBN 99928 70 44 3

სარჩევი

პირველი წიგნი
5

კოწა-ხურო, ჩიტო-გვრიტო
7

როგორღაც ასე მოხდა
9

ძილისპირული ბრაზობა სხარტი
16

მგზავრული, ელეგია
18

მგონი, ნეკროლოგი
20

პოპური
23

ათთავიანი მოთხრობა
32

გვრიტები ანუ ფურცელი
ქართული ნიღილიზმის ჰისტორიიდამ
40

სიმღერა მევლუდზე — ახალი
43

თხრა და გადამწერლობა
49

დარჩენილნი
55

პირველი წიგნი

ნებისმიერი წიგნი, დღიდან ამ წიგნის გამოცემისა, მკითხველის საკუთრებაა, მაგრამ პირველი წიგნი გამონაკლისია — იგი მხოლოდ და მხოლოდ ავტორს ეკუთვნის. გაივლის კიდევ რამდენიმე წელიწადი და ამ პატარა წიგნის ავტორს მერამდენედ დაერქმევა ახალი წიგნის ავტორი, მერამდენედ გამოსცემს დავით ქართველიშვილი ახალ კრებულს, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი მაინც მისი პატარა კრებული იქნება, რადგან იგი დავით ქართველიშვილის პირველი წიგნია...

დავით ქართველიშვილი ახალგაზრდა პროზაიკოსია, მაგრამ ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს, მისი სახელი უკვე იცის. უფრო მონდომებულ მკითხველს წაკითხულიც აქვს მისი რამდენიმე მოთხრობა ლიტერატურულ პრესაში და ლიტერატურული დებიუტისათვის იგი „წინანდლის" პრემიის ლაურეატიც გახდა. თუმცა პრემიები და ჯილდოები მას ნაკლებად აინტერესებს, რადგან დავით ქართველიშვილი ნამდვილი მწერლური ცხოვრებით ცხოვრობს და

ჩვენ შორის სამწუხაროდ ცოტანი არიან ისინი, ვინც ისევე კარგად იცნობს ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას, როგორც დავით ქართველიშვილი. ალბათ ეს ცოდნა და განათლება, ნიჭთან ერთად, განაპირობებს კიდეც მისი პროზისადმი ინტერესს, რომელიც სამართლიანად გაჩნდა ჩვენს ლიტერატურულ გარემოში და პირადად სწორედ იმ ადამიანთა, იმ მკითხველთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც სჯერა დავით ქართველიშვილის მომავლისა და წარმატებისა.

და რაც მთავარია — უხარია...

ლათო ტურაშვილი

კოწა-ხურო, ჩიტო-გვრიტო

1976 წელს დავიბადე მე, დავით ქართველიშვილი. 6 ივლისს (ზაფხულის თვეა ვარვარა) ჩავტოვე დარბაისელი ნათესაობა ჩემი (პარტიულნიც, უპარტიონიც) თბილისში (ქალაქია). ბებიაჩემი: დაგვწვა, ბები, მზემ, გამოგვალაყა, ჩემო სიცოცხლევ, ცელქო შენა, მზესავით ნათელო და უბიწოვ ჩემო, მთვარევ ჩემო.

შამპანური უსვამთ — თუმნიანი — ცივი. გაგრილებულთ უტამფანდურიათ. ამ ოჯახის მომავალი ბურჯი და დედაბოძია ეს ბღარტიო. გაქაჩულა ბებიაჩემი, შენ სიგრძე (ჰიპერბოლაა, რა თქმა უნდა, გულითადი) აბია ჩემს დათოსო. დედაბოძები შენიანებში მოიკითხე, ატოციას გლახავ შენ. დამღერა გულმოოხებულმა ჩემს ხორთუმს მერე: კოწა-ხურო, ჩიტო-გვრიტო, შენი სკოლის დამთავრებას მომასწროს ქრისტე-ღმერთმა, შენი ინსტიტუტის დამთავრებას.

ეჰ, ღმერთო ცუდო! ბუტე-ბუტე.

მე უბრალო ვარ. არც კლასში ჩავრჩენილვარ და არც კურსზე დაუტოვებივარ ვინმეს.

იურისტი ვარ დიპლომირებული. ამ კაცს სამართალმცოდნის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოსო, — რექტორმა სთქვა. დამეხმარა ღვთიური.

რა თქმა უნდაო, — კომისიის თავჯდომარის მოადგილემ. ხია ბეჭედი დიპლომში ჩაბრილიანტებული მარჯვენით თვისით.

მერე მომიტრიალდა თვალებჩასაკოცნი: წარმატებებს გისურვებ ცხოვრების გზაზეო, — მითხრა.

თავი დავუკარი.

მერსი ავგუსტა and აუფვიდერზეინ.

ხაბარდაა! გზაა!

როგორღაც ასე მოხდა

20 აგვისტო

მაშ დროშები უნდა დაუშვათ ჩვენი?! არა, არა, ნიკაგდა! მე, სირაჯ ოტიას, ყველა მიცნობს! მოვალეა ჩემი იმერი და ამერი. ყველა მოიქნევს ჩემთვის მუშტს ჯიგრით. იგრეთ ხოშიან ბიჭებს მოვიყვან, როგორიცრო ე იმ ჩვენი იმპერატორის ჯარშიც არც მოჰლანდებიათ! შიშით ქვეშ გაუშვებენ, ჰა, ჰა, ჰა, შობელძაღლები.

ოღონდ ჯერა, აი ამ ჩვენი დალოცვილი ტფილის-ქალაქის თავს მიუგზავნოთ კაცნი, ჰამქართა თვალისჩინნი, პირდაპირ მუშტი-კრივზე გადასვლა, ძმებო, როგორღაც ბუნტსა ჰგავს. გთავაზობთ აირჩნენ: სომეხი ვარდაგეს და ქართველი ჯონდია. ესენი ნასწავლი ხალხია, წერა-კითხვის მცოდნენი.

თანახმანი ვართ, ძმებო?

თქვენ გენაცვალოთ სირაჯი ოტია!

,,ვარდაგეს — 42 წლის. მეწაღე. ცოლი ჰყავს და ორი შვილი, ცოლთან ორივე. ჯონდია — 32 წლის. ყასაბი. საცოლე ჰყავს სოფლელი გოგო.'' — ჩაიკითხა ქალაქის თავმა დოსიე.

— ნიკოლაი ეგნატიჩ, — მიმართა მდივანს, ახალგაზრდა კაცს მომავლისმქონეს.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— განა სასაცილო არაა, რო უბირი ხალხი ესე აპროტესტებს მისი უგანთლესობის აბსოლუტურად კანონიერ და რაც მთავარია ცივილურ ბრძანებას, ჰა, ჰა და მართლაც რა საჭიროა ამქრები ჩვენს დიდებულ იმპერიაში?!

— რა თქმა უნდა სასაცილოა, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მე მზად ვარ აუდიენციისათვის, — სთქვა და წამოდგა ქალაქის თავი. სარკესთან მივიდა, ჩამოივარცხნა წვერი, გადაისვა თითები საბეჭურებზედ. სიქა ერტყა ზედ გენერლის.

ე, ესეთი ფუფუნება არ ენახათ აქამდე. მომავლისმქონე, ამჟამად მდივან ნიკოლაის წმინდა წიგნებში ამოკითხული ჰქონდა, რო მთავარნი მოოქროვილ დარბაზებში მსხდომიარობდნენ, მაგრამ წაკითხული რა ბედენაა! გააოცა იგიც ნახულმა პირველად.

ეხლა სწორედ ის ეტიკობდა თვალებით, ხელებით, სიტყვებით კი აფრთხილებდა მოსულთ (ო, ენა-პირი):

— მის ბრწყინვალებას ბევრი დრო არ აქვს. სახლში ელიან ყოვლადსათნო მეუღლე და უმანკო შვილები. მზადებაა, ფაცურია იქ დიდი. ერთ კვირაში მისი უბრწყინვალესობა ათ წლისთავს აღნიშნავს, ახარე და აბედნიერე კიდევ დიდხანს თვისის ქორწილისას, ბატონებო!

უკანასკნელ სიტყვაზე ენა მოეჩლიფა მდივანს.

ორმოცდათვრამეტში დაქორწინებულა ჩემსავით, — გაიფიქრა ვარდაგესმა. ეამაყა დამთხვევა ეს. გაიბადრა.

პიოტრ, შენ მაინც რა გემართება. დიდი ხარ უკვე. პიოტრ, ნუ ჯიუტობ. წყეული გუვერნანტი. ფუჰ, ეს გერმანელები თავს ასაღებენ ვითომც ტრადიციული პუნქტუალობით. შემოუშვებ სახლში და... ანდრე, ანდრე, სტიხ-

ნი ო, ბოჟე მოი, რა დავაშავე. შვილების მომგონს ამოუწყდეს სახსენებელი, კაკ Я უსტალა. აღარც სარკესთან პრანჭვა, აღარც სეირნობანი ხეივანში. აღარც საუბრები გამო: პოეზიის, სიყვარულის; ტატალნაია პროზა ირგვლივ ჩემდა.

თავისიანებთან ერთ საათში მიბრუნდნენ. ჩინჩიფურა კოლამ შენიშნა პირველმა იგინი.

— მოდიან, მოდიან, - აყვირდა.

სირაჯი ოტია მიეგება ელჩთ.

— რაო, რა სთქვა?

— ბრძანება საბოლოოაო, — ხელი ჩაიქნია ჯონდიამ.

— ვაჰ! მე მაგათი დედები ვატირე, — ბარძაყებზე დაირტყა სირაჯმა ხელები.

— ძმებო! დაიშალენით, დასხედით სახლებში. კრინტი არ დასძრათ უკმაყოფილო. მაგის დროც მოვა. ანდერძს აუგებთ, ,,არა, ეგეთი ხმამაღალი ლანძღვაც არ შეიძლება!'' — წამით შეშინდა ოტია.

22 აგვისტო

დაიკავეს საცხოვრებელი ქალაქის თავის. ოტია სარდლობდა: დაიარეთ, შეამოწმეთ ოთახები.

გათოკილი სახლის მცველნი სამზარეულოში ეყარნენ. საწყლები!

— ყოჩაღ ოტია, სიტყვის კაცო, — ჰყვიროდნენ მოამქრენი, — შენ მარიფათს ვენაცვალე! როგორ დაატრიალა ესრეთი ამბავი სუ ორ დღეში, რა ბიჭები დაგვიყენა გვერდში ჩვენ ჰალალ ხალხს!

ქალაქის თავი ჯალაბით ლბილ სოფაზედ დასხეს. აქეთ-იქიდამ მკლავძლიერი ბიჭები დადგნენ.

— გააუქმე ე ოხერი პრიკაზი და წავალთ ჩვენ.

— გთხოვთ მიჰყვეთ ეტიკეტს. მე ვარ ქალაქის თავი, მისი უბრწყინვალესობა, საიმპერიო კავალერიის გენერალი, გრაფი გრეგორ ანდრეევიჩ...

აღარ აცალა ოტიამ. სწვდა სიტყვით:

— ვიცი, ვიცი, ვინცა ჰხართ. ვისი შაქმნილი — ეგეც, არ შემშლია ადრესი.

— მისი უდიდებულესობის ბრძანების გაუქმების უფლება მე არ მაქვს, — ხელისგულებზედ დასცხეს აქეთ-იქით მდგომებმა მუშტები, — შემიძლია შუამდგომლობა.

— აგაშენა ღმერთმა, მაგრამ კაცი ესე იმპერატორი შორიელი როა?

— წერილს მივწერ. ერთი პირობით.

— სთქვი.

— მეუღლე ჩემი პანია ბარბარა და ბავშვები გაუშვით.

— მაგას მერე ვიზამთ. პასუხს რო მივიღებთ კეთილს. ეხლა კი შემოგევლოს ოტია, ცალკე ოთახს დაუთმობ, რო არ შესწუხდნენ. გთხოვთ, ქალბატონო, მომყევით, ბალღებო!

ჟანდარმთა მეთაური კავკასში, გენერალი ესეც, კარპოვი სავარძელში იჯდა. ეჰ, გრიშა, გრიშულია, — ღიღინებდა — ბავშვობიდან უბედური ხარ! ეჰ, გრიშა, გრიშულია, — ტაში შემოჰკრა, — მე გშველოდი ყოველდროს. აჰ, გრიშა, გრიშულია, — თავი გადააქნია, — ძნელია ყოფნა ბარბაროსებში. ოიჰ, გრიშა, გრიშულია, - წამოდგა გენერალი, — შენი მეუღლე პანია ბარბარაااა, გრიშა, გრიშულია, — ჩაიღიმა კარპოვმა, — მე გავანთავისუფლებ ბარბარას და ვთხოვ ერთ ამბორს. ოოო გრიშა, გრიშულია, — შარვალი გაისწორა, — შენც შეგხებია ხორბლისფერი მისი ხელები. ჰეი, გრიშა, გრიშულია, — საფეთქელთან მიიტანა მარჯვენა მარჯვედ, — ჯარი მზადაა!

ეზოშია ჩამწკრივული.

— აი ოთახი თქვენი მოწონებული, ქალბატონო. — ცდილობდა, ნამეტანი ცდილობდა ზრდილი ყოფილიყო არისტოკრატებივით. ნიჭი ჰქონდა, იცოცხლე; ხელი გაიშვირა სუბუქად მარჯვნივ. ბიჭები იდგნენ იქ. ესენი დაიცავენ თქვენს ბღარტებს, — ვერა, ვერ გაიხსენა ის უცხოური სიტყვა. — პანია-ქალბატონო! აბა, მე წავედი.

— მუსიე ოტია...

პანია ბარაბარას ხმა ჰქონდა — ჯადო! აბა, ოტია ხო იცი, ერთი უბრალო კაცი იყო ტფილის-ქალაქელი. რას არ დაემორჩილებოდა!

— გისმენთ, ქალბატონო.

— სიტყვა მაქვს თქვენთან საჩუმათო.

— ტალანში გავიდეთ, — აჰღელდა ოტია, ტანქვე შეეხურდა, გაუვარვარდა. (რა უზრდელი ხარ! და როგორი მიხვედრილი. ჰო, ეგა).

— თანახმა ვარ.

ქნეს.

— მუსიე ოტია, ჩემო გადამრჩენელო, მხსნელო ჩემო! მუხლებს გიკოცნით, ხელებზე გეამბორებით, — წაიწია სირაჯისკენ პანია.

— ჰა, ჰა, ქალბატონო, რასა შობით, - წახდა ოტია, ათახთახდა.

— ჩემო ღმერთო, მე ვარ პოლონელი კრაკოვიდან. იქ დარჩა ჩემი სიყვარული, ჩემი ანჟი. გამიშვით, პან ოტია, გამიშვით ანჟისთან, სამშობლოში. ფული მე ვიცი სადაც დევს, გავიყოთ როვნა პა პალამ.

ჯერ რა ჭკვა ჰქონდა უბედურს, ისიც დაჰკარგა და აკი არ დასცდა სისულელე კითხვითი:

— შვილები?

— შვილებს ანჟიც გააკეთებს, რა, ძნელია?! შობაა რთული. ღმერთმა დაგვწყევლა ჩვენ, ქალები, მაგრამ მე

მზად ვარ სირთულეებისათვის. პან ოტია, გამიშვით — აცრემლდა ქალი.

— ნუ, ქალბატონო, ნუ. ჯანი გავარდეს, თანახმა ვარ!

— გმადლობთ, — ჩარევერანსდა პანია.

ჰოი, მოულოდნელობავ: სროლა ატყდა. დუჰ, დუჰ. ჟანდარმები სროლულობდნენ.

გითხარ, ჯონდიავ, ჩათლახიშვილი ვიყო, გითხარ: დავიმსოთ ჯიბეები ოქროთი და გავშპეთ აქედამ-თქო. გადავიდოდით თურქეთში — ჩილიმი, ტურფები... გითხარ, ჩათლახიშვილი ვიყო, გითხარ, რისთვინ მტკიცე უარი, უბედურო შენა... გითხარ, ჩათლახიშვილი ვიყო, გითხარ: მოვა-მეთქი ჟანდარმერია.

გამართლდა სიტყვა ჩემი: მოვიდნენ, ისვრიან. ჯონდია ჯიუტო, პატიოსანო ჯონდიავ, საცოლის ერთგულო. რაღა შენ მოგხვდა ე გოთვერანი ტყვია. საცოლე შენი უბედური, რა გოგოა! ეგ რო შეჰკივლებს: მაწონიი, რძეე... იტრუნება ყველა. ეჰ, ჯონდიავ, ჯიგარი მეწვის მე — კოლას, გულ-ღვიძლიც... მეშინია!

ღმერთი ჰფარავდეს იმპერატორის ერთგულთ!

თქვენო ბრწყინვალებავ, კავკასიის ჟანდარმერიის უფროსო!

ამა წლის 22 აგვისტოს მოამქრეთა ბრბომ დაიკავა უკანონოდ, შეჭრით ტფილის-ქალაქის თავის საცხოვრებელი. ამით საფრთხე შეექმნა სტაბილურობას და სიმშვიდეს იმპერიაში.

აჯანყებულთ მეთაურობდა სირაჯი ტფილისელი ოტია წკრიალაშვილი. ამჟამად იგი დაკავებულია.

თქვენის გენიალური ტაქტიკის წყალობით ჩვენგნით მსხვერპლი არაა.

საუკეთესო მსროლელებს წარვადგენთ ჯილდოებზე თქვენის ხელმოწერით. ცნობილია თქვენი უშურველობა.

მოჯანყეთაგან ზოგიერთი განთავისუფლებულია, რადგან თანამშრომლობდნენ იგინი ჩვენთან. ახსოვს თქვენს ბრწყინვალებას, რა თქმა უნდა, ვარდაგეს — მათი მეთაური!

დაღუპულთა დამარხვა ჩვენ მოგვიწევს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხარჯით.

თავად ქალაქის თავი ოჯახითურთ უვნებელია. ითხოვენ თქვენთან შეხვედრას. ჯერჯერობით ესაა, თქვენო ბრწყინვალებავ!

დიდება იმპერატორს!

მოპატაკე: პოლკოვნიკი გ.ზანდუკელი.

27 აგვისტო

ბედნიერი დასასრული, აჰა!

სუფრა იყო უხვი, ბარაქიანი. ათი წლისთავი ოჯახური ცხოვრებისა — თარიღია!

მოგილოცავთ! — ზეაწია ბოკალი ჟანდარმერიის უფროსმა, — სამაგალითო ოჯახია თქვენი, დიდებული. გაგიმარჯოთ!

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს !

1999

ძილისპირული ბრაზობა სხარტი

ე ჩემი მაზლი, კაცს მაინც ჰგავდეს, ეგ ქინძი, ოხრახუში ეგა. როგორ იბრიქება. გეყურება ადამიანო, შენი ძმა არკი გკადრულობს, გძინავს, არა?! ძილქუში დაგაწვა, ჰო, ჰო, ისე დაგაძინოს ღმერთმა და სამას სამოცდასამმა წმინდა გიორგიმ, რო ვეღარ გაიღვიძო, შე ბრიყვო, შენა. ი გონჯი, შენი ძმა, როგორ უნდა გჯობდეს ყველაფერში. ერთი ცოლი შეგხვდა მაგაზე უკეთესი, შე საოხრემოსაჭრელო, და იმასაც ვერ უვლი. დამაბერე ქალი მუშაობით. გძინავს, არა? იგრეთი ჩაგთხლიშო მაგ ფუტურო თავში, რო...

არა, საქმეში ხარ ადამიანო. ვეუბნები, მივყიდ-მოვყიდოთ ე სახლ-კარი, ჩავიდეთ ქალაქში. უარზეა. მოგიკვდეს გამჩენი! სუ იმისი გუნებისა ხარ: ჯიუტი და ვირი.

რო მოეთრევი გამობრუჟული და მპირდები კაი ცხოვრებას, რითი? თოხის ქნევით ვინ გამდიდრებულა. ა ჩემი მაზლი — დაუფსე ღმერთო თვალები, როგორ ბაქიაობს — ქალაქში ჩავიდა, გზაზე დადგა. იქნევს ე იმ ზებრა ჯოხს, ფშტვენს და მოდის ფული წყალივით.

კიდევ რო წუწუნებს და კვნესის — ააკვნესე ღმერთო მართლა — ზამთარში მიჭირს მუშაობა, ყინვაა და ქარიო. დედიშენის სილაღემ! უთოვლო და უქარო ზამთარი მარტო აფრიკაშია. თუმცა სადა გაქვს შენ მაგოდენა განათლება. წიგნი თუ იცი, რაა საერთოდ. მე ვიცი, ქმარი არ მივარგა, უფხოა, თორემ გავიდოდით ხალხში.

აი ნოდარი!

ხო უნდა შესცდე ადამიანი, ძღნერიც ხო უნდა სჭამო. რისთვინ არ გავყევ ნოდარსა. ვუყვარდი გულით. სად იყო ჭკუა.

ეხლა კაცია ნოდარა, დიდი კაცი. მნახა. სოფიოო, — დამიძახა. მაშინით იყო, ხელი დამიქნია. აქაოდა, არ გინდოდა ყველი და რძეო, თუ როგორცაა. ვერ ვიმახსოვრებ ლექსებს.

შევცდი: საწყალ დედაჩემს ვუთხარი, მაგ ნოდარს მე არ გავყვები. დაბროწილ ხინკალს უგავს ცხვირი, ნამეტანი უშნოა-მეთქი.

აი ფილთაქვა უნდა მიქაქუნოს კაცმა თავში. რა მინდოდა ამ მძორთან, გძინავს, არა?! გაიღვიძე, გაიღვიძე, შე საქონელო...

— რას მაჯანჯღარებ, ქალო, ალაოთა ხარ თუ სიზმარი ნახე ცუდი?

1999

მგზავრული, ელეგია

მარიკა.

გოგნი-გოგო, ანცი ვინმე, ტუჩებშაქარა, მზერაოღრაში სკამზე ზის. მკაცრად, ფეხები — ტყუპ. მზესუმზირას აკნატუნებს, ჩენჩოებს მიწაზე ყრის. მტრედები მოდიან. კენკავენ ჩენჩოებს. მარცვლებს ეძებენ, რა თქმა უნდა, მშიერი მტრედები, მსუნაგი მტრედები. გოგონა იღიმის. ირიბად ეპობა ბაგე. ფეხს ჯრტყამს მიწაზე მსუბუქად. აფრთხობს მტრედებს. ფრთხებიან მშივრებიც და მსუნაგებიც, მიფრინავენ. მორიგ მარცვალს ფცქვნის. გული — პირში, ჩენჩო — ძირს, მიწაზე. თითებს იფერთხავს. ჰაეროვნად ათამაშებს.

მარიკა.

თვალებს ხუჭავს. I'm your man, შენი მამრი ვარო რა, — ჩასჩურჩულებს ვიღაც. ცნობს ხმას, ვერ იჯერებს. კითხულობს: სად ვარ? L. A. თქვენ, მისტერ რიუ... Yes.

ჭყიტავს თვალებს.

მტრედები მობრუნებულან.

უყრის მზესუმზირას. კენკავენ გულებაფართხალებულნი სწრაფად, ჩქაროსნულად ირჯებიან მშიშრები.

მარიკა.

ფიქრობს: იქ, ლოს-ანჯელესშიც იქნებიან მტრედები, რა თქმა უნდა. იმათაც ეყვარებათ მზესუმზირა, პოპკორნი უფრო, აბა რა, იქ სხვა ჰავაა, სხვა სამზარეულო.

წამოდგა. გაიარ. სტოპ. საათს დახედა: სამის ნახევარია. დროა.

მარიკა.

გამოვიდა სკვერიდან.

საელჩო მარჯვნივაა — იქით წავა.

ხელისგულებს დასჩერებია.

ქირომანტები, მწვალებლები, მასონები, ქალო, მომძლავრდა საქართველოში ერესი.

ტაშს შემოჰკრავს, მოჭორავე მარაქას გასრესს.

მარიკა.

მაღაზიასთან ჩერდება. დგება — PHILIPS.

გამოუფენიათ ტელევიზორები — ზომით, ფორმით სხვადასხვა — ვიტრინაში.

არ აინტერესებს: არც სპორტი, არც პოლიტიკა. არც ფეთხუმთა დიდაქტიკა. სამშობლოსათვის სწორდი. სტრაბონს უხსენებია იგი და ა. შ. და ა. შ.

დაეღალა თვალები, სუსტი აქვს. ჩაჰხუჭა. Coffee? — თავს უქნევს. მასპინძელი ათითებს კაფეზე, მოპირდაპირე მხარეს. გზაზე გადადიან.

— ვაიმე, შვილო, ფრთხილად.

ავტოკატასტროფაში მოყოლილ გოგონას ესაჭიროება სისხლი: I ჯგ., რეზუსი — დადებითი.

განვაგრძობთ ჩვენს მიქსს. ლეგენდარული DOORS — L. A. Women.

2000

მგონი, ნეკროლოგი

აუჰ, როგორ დიდად დაფასდა სილოვანი. შვილიც ეგეთი უნდა — თეგზი იყო მარტო ექვსნაირი სუფრაზე. დაფასდა, მაგრად დაფასდა ეგ ყვიციანი. ორმოცდაერთში ომი რო დაიწყო, მეორე მსოფლიო — ჩვენთვის სამამულო — პირველივით ოთხწლიანი, იქ გავიცანი, გული ჰქონდა როგორი სუსტი და ფრთხიალა, იცი? სროლის ეშინოდა. მაგრამ წესები აქვს ომს, თავისი კანონები. გადახვალ და გასაღდები, მაშ! გაკაჟდა თანდათან. ისროდა, ესროდნენ. სესტრიცა გვყავდა რუსის გოგო. შხვართი, ჯეირანი ოლგა. ჩვენებურად მოწყალების დაი და აკი გვიწყალობა რიგრიგობით ტრიპერი.

გაგვაგოსპიტალეს.

ჰოსპიტალში გავიცანით ერთმანეთი კარგად. ქართველი ეგ იყო მარტო, თორე თბილისში ეგეთ ხიბოსთან რა დამალაპარაკებდა. სხვანაირად ცნობილი ვიყავი მე ქალაქში.

ცხარე — არა, მჟავე — არა, სასმელი — არა, განკურნება თუ გინდა, უნდა დაემორჩილო კიდეც რეჟიმს. დაიცვა. აბა, რძე და ხაჭოს პილმენები სად იყო მაშინ, ჭირდა ცხოვრება.

ვმარხულობდით. სამოთხეში თუ მოხვდება, ეგ იმ მარხვის წყალობით, თორემ კაი რა აქ სხვა გაკეთებული. ქეიფი მაგან არ იცოდა, ძმაკაცობა, ფული კი ჰქონდა. მი-

წაში ფლავდა ან ცოლს ატენიდა იმ ფართო ტრაკში. რა ვიცი, მაგის დაპატიჟებული კაცი მე არ მინახავს სახლში ან რესტორანში და...

გამოვჯანმრთელდით. შევბრუნდით ომში. მივდიოდით და მივდიოდით წინ. გადავედით უცხო ქვეყნებში ზა როდინუ! ზა სტალინა! დიდი, უდიდესი ადამიანი იყო იოსებ ბესარიონოვიჩი! ეხლა შენ ნუ გაბრუვდები რაღაც — ფულისათვის დაწერილი — წიგნებით. ერთადერთი ნაკლი ჰქონდა. ისიც — ადამიანური, საერთო: ადამიანები არ უყვარდა, ეგ იყო და ეგ.

ამერიკელებს შევხვდით ელბაზე. ხუხეს ჩვენებური სპირტი. ჩვენ — იმათი ვისკი. დავძმაკაცდით. ქალები ახლდნენ, მაგათ უქალებოდ არ შეუძლიათ, უყვართ გართობა.

ქალები, ოჰოჰო. ჩვენებური, იცი, გათხოვებამდის უკარებები არიან, ბღენძიები. გათხოვების მერე იცოცხლე, გიკარებენ წინიდან და უკნიდან. ამიტომაა, რო ჭკუიანი კაცები დამების სიახლოვეს ტრიალებენ სამუდამოდ.

ისენი — არა, კაცო, ფეხებზე ჰკიდიათ, აქეთ გაბავენ. გამიყვანდა მილენა, ბუჩქებში ჩავსხდებოდით, ჩამომაცვამდა საჯაყზე რეზინს. შემიფუთავდა და მიდიი.

ხან შეკითხვებს მისვავდა. მაგას ვჭამდი. თავიდანვე ვისიამე — აგენტი იყო.

ერთი იქაური, ამერიკელი გოგო — სახელიც იმპორტული ჰქონდა — შენონ, შეუყვარდა ამ ტუტუც სილოვანს.

შენონმა: მე თქვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებო, — თქვა.

გავგიჟდი: შენი პროვოკატორშა დედა რაკამ-მეთქი, — აუტეხე გინება.

სილოვანმა: რა ვქნა მიყვარს. მივყვები ამერიკაშიო.

— აუ, შე სამშობლოს და სტალინის მოღალატევ, — ვეცი.

დამმორჩილდა.

ომის მერე ვაკის პარკში ვხვდებოდით ერთმანეთს. მოდიოდნენ ჩვენთან ხელოვანნი: არტისტები, მწერლები, ეგენი ხო მუქთა ხალხია, ვაქეიფებდი.

92-ში ფული რო გაფუჭდა, იმ დღეს შევხვდით. ლამის ტიროდა. მერე აღარ მინახავს პირადად.

შვილი, შვილი გამოადგა. კაცი დადგა, რევოლვერიანი ყაზილარები დაჰყვებიან მცველებად.

აუ, როგორ დიდად დაფასდა სილოვანი.

პოპური

წარსდგა ერმოლოვთან — მოხილვა — ვიზიტ.

ყოჩაღად, ოოო, გამეტებით სთხლიშა ქუსლს ქუსლი, — ჰაი გიდი! აკი ურჩიეს მეგობრულად: დაერტყა ჩექმებზე დეზები, — ჩაისვარა ხმამა, ვეჟო.

შტაბსკაპიტანი მაჩაბელი გამოცხადდა.

— თავისუფლად.

დაიფრქვა. ეპითეტებით, მეტაფორებით შეამკო, მორთო ერმოლოვი. ზაფხული იდგა — ბიბინებდა სიტყვა (ხარფუხელი კოსტასიც: შუშა კიტრიი).

მაშ, ცხელა.

აივანზედ გავიდნენ.

— დაბრძანდი, — სთხოვს, ითხოვს ერმოლოვი.

ჯდება თვითონ.

მაჩაბელიცა.

სავარძლებში სხედან, ჰხედავა?

ერმოლოვი: პეტერბურგში ვგზავნი გრიბოედოვს. მისსია.

მაჩაბელი: ქრისტიანული ალაგაა. უპირველესი.

ერმოლოვი: შვილივით მიყვარს სანდრი.

მაჩაბელი (დგება, იჯგიმება): ვემსახურები იმპერიას!

— შვილო, — გაინტიმურდა ერმოლოვი, — დააკვირდი სანდროს. ადევნე თვალი. მომწერე რა, ვით.

— არის. მოგწერთ რა, ვით, — დებს პირობას შტაბსკაპიტანი. ჯამუში (ქართველი).

ნუთუ?

* * *

სამსახური მჭირდება. სამუშაო. ძაან მჭირდება, ჯამაათო (ინტერაქტიური გამოკითხვა: მჭირდება — 96%. არ მჭირდება — 4%). ამორჩეულიცა მაქვს ადგილი (სუფთა, ნათელი), სკამი (ლბილი).

დედაჩემი: მანდ ძნელია.

გიორგი (ჩემი ძმა) ყუჩადაა.

მამა აღარაა, ფუ-ფუ. დაიკარგა ცაში.

დავრბივარ ბიჭი. აქეთ-იქით მიმოვდივარ. ვყიალობ.

ნელი, შოთა — ნათესავი, მეგობარი — მეხმარებიან ესენი. ანა ჩალიჩობს სხვა მიმართულებით (ჟურნალიზმისთვის პარდონ). აბა, ჰე და აბა, ჰო, უშველეთ დათუნია დრუნჩასა. დაგვისევდიანდა. მელანქოლია.

* * *

ჯერ არ. ჯერ არ. ჯერ არ. ადრეა. ცივა, — ამბობს ილია.

აფერხებს არტურ ლაისტს — ჩაჩნეთში სურს ასვლა. იქაურობის მონახულება უნდა, შეთვალიერება. ილიას სთხოვა ესერამ საქმეში პარტნიორობა. მიიღო დასტური. ოღონდ ჯერ არ. ჯერ არ. ჯერ არ. ადრეა. ცივა.

ფეხს ითრევს. ტკეპნის ერთ ადგილს — ჰბრაზობს ნემეცი. ბრალს სდებს (მყვა რა ესეცა ზოლა, იმ დროს მოდური, ემილ).

ჩაჩნეთში მოხვედრის სურვილი არტურისა სიჭაბუკობისდროინდელია, ძველთაგან მოსდევს. არქაიკა.

მოქმედების ადგილი — ბრესლაუს უნივერსიტეტის კოხტა სკვერი, შეყვარებულთა ნავთსაყუდელი (ნუ. ნუ მკოცნი ხელისმოწერამდე).

ჰყავს გოგო ამორჩეული არტურს. თვალავს. სდევს.

— მაშ, მამათქვენი, ნადეჟდა პეტროვნა, პოლკოვნიკია, ჩაჩნეთში მსახურობს. თქვენ აქ ხართ, ბრესლაუში. სწავლობთ. დედა?

— გარდაიცვალა ციებით. ბუნდოვნად მახსოვს, — მზერა ეძაბება გოგოს. ტვინით გამოიხმო დედის სახე, — ცისფერი თვალები ჰქონდა, ფუმფულა ლოყები დედას.

— თქვენებრ, — ჩურჩულებს არტური. ხელები მუხლებზე უწყვია, — მიყვარხართ, ნადენკა.

— მე, მე ვიფიქრებ, ჰერ ლაისტს.

დიოდენ დღენი. გოგონა სდუმდა. ერთხელაც, შავდაუკუღმა ის დღე, მივიდა არტურთან. ქაღალდი აჩვენა.

— მე რუსული არ ვიცი, ნადენკა, — წითლდება. თავს ჰხრის.

— წერილია მამაჩემისაგან, ჩაჩნეთში ჩასვლას მთხოვს, ავადაა. აუფიდერზეინ, ჰერ ლაისტ. — ხელი გაუწოდა.

სწვდა არტური ხელსა — პუ!

მონოლოგისტობს არტური, თავისთვის, გულში:

ჩაჩნეთშია აწცა კვლავ ნადენკა, ლაზარეთში აქიმად დგას.

ეს კი (ილიას უყურებს): ადრეა, ცივაო (ვიცნობდე კავკაზს მაინც). ზაფხულს ელის, სიცხეს. თიბათვის მზევ, მო ჩქარე...

* * *

უდიდესი ყურადღება სიზმრებისადმი; ვიმახსოვრებ. ვფურცლავ წიგნებს. იქ ახსნაა:

დანიელი მაიმედებს; ფროიდი — უზრდელი ვირიშვილი, განვედ ჩემგან; შვეიცარიელი იუნგი ნეიტრალურია.

— არ დაიკარგება შენნაირი ბიჭიო, — მეუბნება მკითხავი ზეინაბი.

— ჰაი, ღმერთმა გისმინოსო, — თვალები უბრწყინავს დედაჩემს, აცეცებს ამ ბოლო დროს.

— ნერვები, შვილო.

სიზმრებს არა უშავს, ა გუშლამინდელი: სავარძელში ვზივარ. ჰგუობს უშბა-მკერდი მიკროფონს. ოთხცალ ღირსების ორდენს. (კიდევ აიტანს)!

— ოთხჯერ ღირსეულო ბატონო დავით, თქვენი ჰობი? — მეკითხება ჟურნალისტი გოგო. მუხლები ულაპლაპებს.

— სიყვარული, გენაცვალე. მიყვარს, მაგალითად, პროზა, საქართველო მიყვარს, — მუხლი მაგარი აქვს. სოფლად გამოზარდეს.

მოდისა გამო აყრანტალებს.

— და ღმერთი?

— ღმერთი, რა თქმა უნდა, არსებობს, არის.

* * *

წლევანდელი სახელმწიფო პრემია ჩემია!

დირექტორის კაბინეტიდან გამოვიდა. ჰერი, ჰერი სარედაქტოროსკენ.

შეაღო კარი.

— ჩეჩნეთში მივდივარ, — გაშალა სამივლინებო ფურცელი.

— ალლაჰ შენთან, — ამბობს რედაქტორი (დიდ ჰონორარს მოხევს ვირისთავი).

შური, ჰო, შავ-თეთრი.

* * *

დაცვა უყენია სახლთან სააკაშვილს. ჯიხურში სხედან ოყლაყები. ისე მიყურებენ, აი ეჭვით. მემარცხენე — ცაცია-რადიკალი — ტერორისტი ვგონივარ ამათ ალბათ. სთხზავენ წერილებს გუნებაში უკვე:

დედიჯან, პატრონი ვიხსენი, აბა, ბინას მომცემენ, მგონია. ჩამოგიყვან, დედი, ქალაქში, ირანულ რჩხია ფლოსტებს გიყიდი. ბოღმა დააღრჩობს ჩვენს განაყარ ბიძაშვილებს, დედი-ვადილაო.

ჟვანიასაც. — ც-ოო? წყეული გრამატიკა, დიდო სპიკერო. ტყვიის ღირსი ვარ. არა. თავში არა. არა. ცოდო ვარ, ცოდო — იცავენ.

რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და შევარდნაძესთან ავალ. მაღლა ცხოვრობს კრწანისში (შენთან, ედუარდ, მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა).

უარს მეტყვის?

შიმშილობას გამოვაცხადებ, ჰო, შიმშილობას.

არ გაუწყრება ღმერთი. დემოკრატია, ტოლერანტი. მიმიღებს:

— Чай мой выбор.

ოტროველასავით პირდაპირ ვეტყვი: მოდი რა, რასა ჰკარგავ, დამნიშნე დეპარტამენტის უფროსად, ჰა! ბატონო პრეზიდენტო, გქონდეთ იმედი. ჰედ ენდ შოლდერს (თავი და მხრები).

მაბია!

* * *

მისი უდიდებულესობა გენერალ ერმოლოვისადმი:

მაჩაბელი გეხმიანებათ, შტაბს კაპიტანი (ქართველი). ღმერთმან დასწყევლოს იმპერიის ჩვენის მტრები. ჩაჩნებზე მოგახსენებთ. ხეპრე მთიელნი. შამილი ძაღლის მჩორი.

დაგვესხნენ. დავყარეთ იარაღი. თავები შევინარჩუნეთ. გვემუქრებოდნენ უშჯულონი, გვაგინებდნენ. დაგვსხეს ქოხში, აშმორებულ საფუნეში გენერალო, მოგვიკეტეს კარი. ცხრაკლიტული.

დაბლა — ხევი, ზევით ნახე, რა ცაა. ესაა რაცაა, რო სჩანდა ქვეყნისა იქიდამ (მწირი პეიზაჟია, — ასკვნის ერმოლოვი. წერილს უბრუნდება. ჰკითხულობს).

მოყაყანე — ფორტისიმო — ტომია ესე ჩაჩნები. მოძრავი, ჰყარან.

ცხვრები ჰყავთ. უამრავი ცხვარი. ფარები. მოპეტელე საკლავი, თქვენო უდიდებულესობავ!

(ეთნოგრაფი, — დუდღუნებს ერმოლოვი).

ცხვრით ვიკვებებოდით. მიჰქონდა ალუს, ზედამხედველსა ნატიტყნი ხორცი, პური კიდევ და წყალი ტოლჩებით. უგემური, დუბელა წყალი, მღვრიე.

ჭამა-სმამ ესემ დამაავადა — ფაღარათი — მომიშალა კუჭი.

(სუბიექტური ალმური! — ტუჩს ითრევს ერმოლოვი ქვედას. ჰღეჭს).

სანდრი-ყოჩაღი მაგრად სდგას. სწყევლის ბარბაროსთა.

(ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — ზეიმობს ერმოლოვი. ქომაგი იყო მათი. გახდა მაწყევარი, შეიქნა. სიტყვა სიტყვაა. პირობა — პირობა. სამი ცხენი და ოცი თოფი ჩემზეა, შამილ!.. მომდევნო წინადადებები ცალი თვალით ჩაიკითხა. ყასიდად. უკანასკნელ აბზაცს მიადგა — დასერიოზულდა. დადინჯდა — აითვისა, გაიაზრა).

გამოვაღწიეთ. დაჭრილი გრიბოედოვი ლაზარეთში გადავიყვანეთ, იქვე ეზოში, მუხის ქვეშ გავშალეთ სუფრა. თამადობა ჩვენს მხსნელს, კაზაკთა ატამანს დავუთმე.

ივარგა.

ადიდა იმპერატორი.

ღმერთმაც!

* * *

დედა წყნეთში ავიდა ნელისთან — მოაგარაკე. ჰაერს ჩაყლაპავს. დაისვენებს.

გიორგი — ჩემი ძმა — absent. დადის ქუჩა-ქუჩა.

ანას ვიბარებ. მოდის.

ჰო, ახლა შენც ზევით და მეც ზევით. ვიხარჯებით.

ვწევართ. ვაბოლებთ ქანცგაცლილნი.

ანა: სამსახურის ვარიანტია.

ყურებს ვცქვეტ (ღმერთო, ოღონდ ჩარჩობა არა!).

მიხსნის. განმიმარტავს.

ვდგები, გავდივარ. არის ამ სახლში სხვა ოთახებიც. ციცქნები. ფართოები.

* * *

მუხასთან შეჩერდნენ. არტურმა სთხოვა: ილია ბატონო, აქ მომიცადეთ.

ილია დასთანხმდა უსიტყვოდ. გაიფიქრა: „ბალღი".

დაიძრა არტური, ამოძრავდა. გეზი — ლაზარეთისაკენ. მეკარე მიესალმა. თავი მოჰხარა, წელში მოიკაკვა. გზა მისცა.

ძვირფასად ეცვა არტურს. საგანგებოდ.

დარჩა ილია მუხასთან. გრილოში. ეზო დაალივერა. ცარიელი იყო. არსად კაცი. მხოლოდ ჭიშკართან იწვა ნაგაზი. მრისხანე აუა.

კავკასიაში ყოველივე ჯიშიანია: კაცი, ძაღლი, ფრინველი, ბანოვანი. ბანოვანნიც, მაგრამ მე სიფრიფანა ჩრდილოელი ქალები მომწონს უფროის. გაახსენდა: მადმუაზელ ჩაიკოვსკაია. ხანმოკლე ამიკობა, რომანი პლატონური მასთან. აკლდა გამბედაობა მაშინ ილიას, ჭაბუკი იყო.

მისი ძმა ცნობილი კომპოზიტორია ახლა. ევროპა ასრულებს მისსა თხზულებებს.

შორს წავიდა მამათმავალი, მსოფლიო აალაპარაკა.

მიეყრდნო მუხას ილია. გაუსვა ზურგი.

— მთებში ვართ ჩაკეტილნი. იყვირე გინაც, ამაოა, — ჩაილაპარაკა.

* * *

ანა (ტელეფონში): ხვალ მიდი (მკარნახობს მისამართს)...

შეიბ ჰალსტუხი, დავით.

* * *

პატივცემულო ტელემაყურებლებო, განვაგრძობთ გადაცემათა ციკლს ჩეჩნეთში.

თქვენ კადრში ხედავთ ჰოსპიტალს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აუშენებია ის იმპერატორის ბრძანებით გერმანელ არქიტექტორს, გვარად ჰოფმანს.

დღეს აქ წითელი ჯვრის ოფისია. მოდის ხალხი მთხოვნელი.

ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს, გთავაზობთ ჩანაწერს.

(ეკრანზე ჩნდება დედაკაცი ფუმფულა): ომი საშინელებაა, დაამთავრეთ!

(დედაკაცს ცქნაფა გოგო სცვლის): მე მსურს თამაში, გართობა.

(ვხედავთ ჟურნალისტს): ახლა კი ძვირფასო ტელემაყურებლებო მოუსმინეთ გაეროს წარმომადგენელს.

(კაცის სიფათი — ზანგია): მსოფლიო საზოგადოება ძალებს არ იშურებს იმისათვის, რომ აქ, ჩეჩნეთში (ოპერატორს გამოჰყავს კადრი — რესპოდენტი და ინტერვიუერი მუხის ქვეშ დგანან, მერე სხვა პეიზაჟებსაც აშანშხვალებს ჩეჩნეთისას, შარაგზა და გადაღმა) დამყარდეს მშვიდობა. მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს დასხდნენ მოსალაპარაკებელ მაგიდასთან. Thank you!

(ბრდღვიალებდა წარწერა).

რეკლამა.

* * *

დამკვეთი: მაშ, ასე, დავით ძმაო, საზღვარზე ჩეჩნები გადაგიყვანენ. წითელი ჯვრის კაცთან დაგაკონტაქტებენ, მისმენ?

მე: დიახ.

დამკვეთი: ის მოგცემს მედიკამენტებს. არ დაგიმალავ, ძმაო, ზოგიერთი ნარკოტიკია...

მე (დამფრთხალი): ქსივა მექნება?

დამკვეთი: გექნება. დაბრუნებისთანავე ათას დოლარს დაიჯიბებ. არაა ცუდი ფეხისქირა. რას იტყვი?

მე: არაა, რა თქმა უნდა.

ფინელი ტიმი მანქანას ტვირთავს.

მე მუხის ქვეშ ვდგავარ — მომე, მუხა. რკო. მერქანს ვჩხაპნი ჯიბის დანით.

კრიპტოგრამა.

დასასრული.

2000

ათთავიანი მოთხრობა

I. სარეკლამო

ყოჩი ქალაქელნი, განთქმულნი — ორთაჭალა უსმენს ამათ. ჰავლაბარიც. ჰსჯერავთ — თამაშევზედ ამბობენ: სუფთა პარიჟანელიაო.

— აჰ, ნაღდი, — კვერსა ჰკრავენ ტურფანი, ადასტურებენ.

— მართლაც რო ჰგავს პარიზელს! — ვეხიდები მე, დავითა, თანამემამულეთა.

ერთ მუჭად ვართ შეკრულნი. გიხაროდენ. სამშობლოვ (69 000 კვ.კმ.), ათასო ვრცელო მდელო და ველო.

თამამშევი კი ფრაკს აცარებს. სიარულიც დინჯი იცის, კოხტა და ფაქიზი. ჯერ ქუსლს სდგავს მიწაზედ, მერმე ტერფს.

მზერა მადლიანი აქვს.

ყოჩი ქალაქელნი: თავადური.

ტურფანი: დამპყრობიც.

მე, დავითა: ჭკუიანიც.

კვლავ ერთ მუშტად ვართ. ასეა. მტერო, გვიფრთხილდი! გაძვერ-გამოძვერი.

დაიკარგე!

II. პათეტიკური

გრუზინნი არიან ვოსტორგში:

— ოპერა გვექნება, ხალხნო, ჩვენი ოპერა!

— ბატონი თამამშევი გვიშენებს!

III. ინტიმური

გრაფი ვორონცოვი სარწეველაში ზის — ირწევა. თვალები დახუჭული აქვს. ჰაი, ახალგაზრდობავ, გაპარულო. ოდესა, ორთქლმავალი — ბანზე სდგას. ჭაბუკია. მხნე კაპიტანი. ორკესტრა გრიალებს. სცილდება ორთქლმავალი ნაპირს. ნელა. ნელა. თანდათან. შედის ზღვაში ღრმად. ღრმად. წყალი კამკამაა. თიმთიმებს. შეამცივნა. კაიუტაში ადის. ფიქრშია. გართულია. შედის კაიუტაში. სარწეველაში ჯდება — ირწევა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ლაქიაა.

გრაფი თვალებს აახელს. ლაქიას უშტერებს

— თამამშევი გეახლათ. ადგილობრივი დიდვაჭარი.

— უხმე, — დუნედ აამოძრავებს მარჯვენას, ზარმაცად.

IV. სალონური

გრუზინნი არიან ვოსტორგში:

— ოპერა გვექნება, ხალხნო, ჩვენი ოპერა!

— ბატონი თამამშევი გვიშენებს!

ხარობს მ. ო. — მაიკო ორბელიანი. საქართველოსია ის ვარსკვლავი. მზე თამარ!

გადაჭედილია მაიკოს სალონი. ძვრა ჭირს. ჰბჭობს ქართველობა. ქართველობა ვოსტორგშია.

მ. ო.: განთიადია. განთიადია.

მაიკოსებრ ბევრია აღტკინებული. დიდი მაგალითი. აი სერგი ყიფიანი.

— მეგობრებო! იქნებ ქართული დროშის აფრიალება მოხერხდეს რომელიმე წარმოდგენისას, — ჭიქას სწევს ყიფიანი მაღლა, მაღლა, — ღმერთი შეგვეწევა ბატონებო. ჩვენთან არს!

— ქალბატონებმა დაგიშავეთ რამე? რისთვის გვრიყავთ, სერგი ბატონო, — მაიკო ამბობს.

— ბატონ სერგიას სჩვევია ეგ, — ესტატე ციციშვილი ამეტყველდა.

— რასაა, რო იგესლები იქედნასავით, ჩემო ესტატე. — თითს იქნევს ყიფიანი, — გონს მოდი, ყმაწვილო.

პირისპირდებიან.

მაიკო ვარდება მათ შუა.

— დაწყნარდით, ბატონებო!

— მე წყნარად ვარ, მზეთუნახავო. — თავს ხრის ციციშვილი.

— ერთია უბრალოდ: მაშფოთებს და ძარღვებს მიშლის თქვენი ოპტიმიზმი. იმედიანობა. ხალხო, ქალბატონებო და ბატონებო. თამამშევი სომეხია, თანაც ვაჭარი. აბა, იფიქრეთ, სომეხი ვაჭარი ქართველობისათვის იზრუნებს? თვითონ სომხურ დასსა არა სწყალობს თამამშევი. მაგისი გროშ-კაპიკი გაღებული არც ვის ახსოვს იქა. ეგ ტერიტორია-ალაგი, საცა ოპერის გაშენებას აპირებენ, იცით, მე მივსჰყიდე თამამშევს...

— ორ დოშად და ერთ საკაბეთ. ორ დოშად და ერთ საკაბედ, — ხარხარებს ყიფიანი.

სხვები იცინიან.

— ჰო, ეგრე ორ დოშად და ერთ საკაბეთ. ქარვასლის გაწყობა ჰსურდა მანდ თამამშევს.

სხვა ამბავია ჩვენს თავს. სხვა ამბავია.
ციციშვილი ჯდება. პაპიროსს აბოლებს.
სიჩუმე წამიერი, უჩამიჩუმობა.
შემდეგ — კვლავ ვოსტორგი.:
— ოპერა გვექნება ხალხო. ჩვენი ოპერა.
— ბატონი თამამშევი გვიშენებს.

V. ემოციური

ჰ, ღელავს თამამშევი.

აი.

ორი დღის წინ დაეწყო ჩქარი გულისცემა, ფრიალი. ორი დღის წინ აცნობეს: ბატონო თამამშევ, თქვენის სახსრებით გადაწყდა ტფილისში ოპერის აშენებაო.

ჰკითხა: — თქვენ ვინა ხართ? ვინა ბრძანდებით? — მაცნეს თამამშევმა.

— იმპერატორის საიდუმლო კანცელარიის თანამშრომელი, პორუჩიკი ანდრეი ვოლკოვი, — მისცა სალამი მაცნემ და ჩაბრუნდა სავარძელში. ხოლო თამაშევს გული — მუშტისოდენა — გაუდიდდა. გაებუშტა. ,,ე, ეს როგორი სამართალია, არა, არა, ცავატანემ, მე პატიოსანი ვაჭარი ვარ, რა უნდა ჩემთან ოხრანკას და ეგეთ მამაძაღლობას. რა ესაქმება? ბებიათქვენისამ, ოპერას კი არა, ფეხსადგილს აგიშენებთ, თქვე დამპლებო! თქვე ჩათლახებო! მაშ, ღმერთი აღარაა? მაშ, ღმერთი მოკტა? არა. არა. ცავატანემ, ვორონცოვთან მივალ. მივალ.

კაცნი ვართ — ხავსს ვეჭიდებით.

ასეა.

სარკესთან წარმოსთქვა ეს მონოლოგი თამამშევმა. მაცნე კაი ხნის გასტუმრებული ჰყავდა. ჰოდა, ჰყვიროდა.

ჰყვიროდა.
ჰყვიროდა.
ხავოდა.
ჩაჩუმდა.

ჰ, ღელავს თამამშევი.
უზარმაზარი ტალანი განვლეს: თამამშევმა, ლაქიამ.
თავი შეჰყო ოთახში, ტანი, ფეხები, შელასლასდა.
— ბატონო თამამშევ, ბონჟურ.
— გამარჯობათ, ჩვენო უდიდებულესობავ!
შეხტნენ.

VI. პატრიოტული

მაიკოს სალონი დაცარიელდა. გაიკრიფნენ სტუმრები.
სტუმარნი.
ციციშვილიღა დარჩა.
მ. ო. ფანჯარასთან სდგას. ესტატე ბორიალობს. დუდღუნებს.
— ჰბრაზობთ, ბატონო ესტატე, ხომ? — ტრიალდება მაიკო სახევარსკვლავა.
— ქალბატონო მაიკო, ცუდი ამბავია ჩვენს თავს. ოპერას ვინ აგვიშენებს მუქთად. უანგაროდ.
— ხდება, ყველაფერი ხდება, ბატონო ესტატე.
ციციშვილი ჯდება.
— ოპერა მოკლავს უნივერსიტეტის იდეას, — ახარხარდა ციციშვილი. ხარხარებს.
მაიკო შეშინებული: ცუდად ხართ, ბატონო ესტატე.
— არა. — წყნარდება ციციშვილი — არა. ჩემს თავზედ მეცინება. საზოგადო მოღვაწისებრ ავლაპარაკდი. ფეხზე მკიდია. უბრალო კაცი ვარ. ვჭამ. ვსვამ. ერთ მშვენიერს

დღეს გადავბრუნდები და ჰაი გიდი! ჩავბარდები პატრონს. ისე, რაში გვჭირია ქართველობას უნივერსიტეტი, საერთოდაც სწავლა. განათლება. ბრბოი ვართ.

ხოლო მაიკომ:

— გვჭირდება, ბატონო ესტატე, გვჭირდება.

შუაღამემდის ისაუბრეს.

VII. მიზეზნი

თამამშევი: ეგ სიმართლეა.

ვორონცოვი: აბა, როგორ. ქართველობას მისი უგანათლებულესობის კარზედ ხალხი ჰყავთ. უნივერსიტეტს ითხოვენ ქართულს, გაგვიხსენითო.

თამამშევი: ბებია მაგათამ! მაპატიეთ თქვენო უდიდებულესობავ! გამოდის, რო ჩემი შვილი უსწავლელი უნდა დარჩეს, ხოლო ესტატე ბრიყვის (ციციშვილზედ მოგახსენებთ) შვილმან პროფესორის ტიტული უნდა ატაროს. ბებია მაგათ!

ვორონცოვი: ზუსტად მასე იქნება, ჩემო გონიერო. იარსებებენ ქართველი განსწავლული პროფესორები და უსწავლელი სომხები.

თამამშევი: შვილები კარგია, თქვენო უბრწყინვალესობავ. მაგრამ ჩვენც ადამიანები ვართ. ცხოვრება გვინდა! ფინთად მიდის ბოლოხანებში ჩემი საქმეები. ქარვასლის აშენება იყო ჩემი ხსნა და საშველი. მომეცით, თქვენო უდიდებულესობავ, ნება ე, იმ ოპერაში სავაჭროს გაწყობისა.

ვორონცოვი: რა თქმა უნდა, ივაჭრეთ, ოღონდ კულტურულად.

თამამშევი: ეგრე იქნება, თქვენო უდიდებულესობავ.

VIII. ძილისპირული

წვანან.

ფეხს გაჰკრავს ცოლს.

— მღვიძავს, ბატონო პორუჩიკო.

— კუკოლკა, — დაითრია ცოლი, მიიზიდა, — ჩემო. ჩემო. ჩემო.

— შემეშვი, ანდრეი.

— გაგაცინო?!

— ოპერა რო შენდება, ხო იცი?!

— ვიცი.

— სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილედ მნიშნავენ იქ. იცინეს. იკისკისეს.

IX. ხალხური

სამუშაო დღე ჩათავდა. ყველაფერი კარგად. წესისებრ. მუშები პურისჭამად დასხდნენ.

— ბიჭებო, იმის დედა ვატირე, მე თუ აქ ფულისათვის ვირჯებოდე. ბიჭებო, რო წარმოვიდგენ აშენებულ ოპერას, ფაშფაშა მომღერლებს გაშიშვლებულის მხრებით, დიდის ძუძუებით, ბალღივით გული მეპარება, ბიჭებო!

— ყველანი ეგრე ვართ, ზაქროჯან. ეგრე! — დასტურს სცემენ სხვა მუშები.

X. უკანასკნელი

ვაშაა! — სამხედროთა შეძახილი.

თამამშევი — გვერდზე უდგას მ. ო. — ლენტს სჭრის. კრიჭი. კრიჭი.

ყოჩი ქალაქელნი: დიდებულად.
ტურფანი: ელეგანტურადაც.
მე, დავითა: აჰა, გვაქვს ოპერა. სილ ვუ პლე!

1999-2000

გვრიტები ანუ ფურცელი ქართული ნიღილიზმის ჰისტორიიდამ

ამათ დედაშვილობა ჰქონდათ ტკბილი რა, ჩაროზი.

უსაიდუმლო.

სერგიაზე რო იყო შეყვარებული, ეგეცა უთხრა დედას მელანიამ.

— ჩვენი ბატონი როა, შვილო? — ჩაფიქრებითა სთქო დედაკაცმა.

— მერმე და რა, დედი, სიყვარული ძლიერია წყალივით, შემნიშნოსა და

— წყალივითაც ჩაივლის, შვილო...

აბა, როგორ აჯობებდა მელანია დედას ანდაზა-თქმულებების ცოდნაში?!

ძველი ქალი იყო ეთერ.

— ნუ იღელვებ, დედი.

— დედა ვარ შვილო, დედა! აჰა!

ე, იმ დროს ქართველთა წარჩინებულ ოჯახებში ჩაი და ლოტო იყო მოდურ.

არცვისზედ ნაკლებად ითვლებოდნენ ესენი, ფალავები.

ჩაი შემოიტანეს მსახურთა, ჩამოარიგეს ფინჯნები და გავიდნენ, ციმციმ.

— მიყურებდა, დედი, მიყურებდა, მაშ, ორთავ თვალით, შეჰნიშნე?

გაუცრუვა იმედი დედამან:

— ვერა.

შავი, ინდური ბაიხისა იყო ჩაი.

მტააპ, გემრიელი.

ლოტოს ტომარა ბაბუცას ედო ცხვირწინ. ის იყო გამთამაშებელი. და სერგიას დედაც.

სვავდნენ ჩაისა სვენებ-სვენებით, ნება-ნება, თანაც ბაასობდნენ სალონური წესით; დინჯად. იმჟამინდელი ლიტერატურის გამო.

— კნეინა ბარბარა ჯორჯაძის პოემასა ვკითხულობდი, შუამთის მონასტრის მწირი ჰქვიან, დიდებულად გარითმული რამ თხზულებაა, ძვირფასო ბაბუცა, — ანანიაშვილმა თქვა ქეთომ.

ბაბუცას თავისი ანგარიში აქვს: ამ რჩხია-ჟღენ ქვეყანაზედ ქეთოსებრ ჭკუიანი და ლამაზი ქალი არ ეგულვის, მზითვსაც რო ბარაქიანად ატანს გვარი...

— ვიცი, შვილო, დიდი განისა და ნიჭის პატრონია ბარბარე, — თავშეკავებით გაიცინეს. ძმა ჰყავდა ბარბარეს რაფაელი, პოსტი ეჭირა იმ დროს მაღალი მთაში. — შენ რაით სდუმხარ, შვილო სერგია. შენოდენა წიგნი არც ვისმეს უკითხავს ჩვენში.

სერგია შეიშმუშნა, დაიფშხალა.

— აჭარბებ, დედა ძვირფასო.

— ნუ თავმდაბლობთ, პეტერბურღში განსწავლული ბრძანდებით. — ქეთომ ღიმილი მოაყოლა სიტყვას, გამამხნევებელი, ამნთები.

— ეგ მართალია, — არ უარჰყო თვისი ნაპეტერბურგელობა სერგიამ, — მე იქ პისარევი გავიცანი. უპირველესი მოაზროვნეა ევროპიისა (არაა მცირე მასშტაბი, ბოზიშვილი ვიყო).

— მეძახის, გესმის, დედი, მეძახის! რაი უნდა ნეტა? თავსლაფს ხო არ დამასხავს იმოდენა ხალხში? გავიდე? მითხარ

რამე, კრინტი დასძარი, დედაკაცო! გესმის, როგორის ხმით მიხმობს; ყვირის, ღრიალებს, ხავის.

— ბატონია ჩვენი, შვილო.

— მივდივარ დედი, მივდივარ!

კაბა-წინსაფარი გაისწორა.

ერთი პირჯვარი, მეორე პირჯვარი, ჰო, სამობითაა! მესამე პირჯვარი.

ხელით ხელი დაუჭირა სერგიამ მელანიას.

— ჩამორჩენილნო! სხედხართ აქა და უბნობთ გამო სისულელთა. კნეინა ჯორჯაძე, ტოჟე მნე არისტოტელე! ნუთუ განცდა არა გაქვთ, ნუთუ გულები მოგიკვდათ, რაი გეჭირთ. დალპა თქვენი ტვინები? გაზღმურდლდა? გასათელია თქვენი ტრადიციები.

— აი ეგ ბოლო სიტყვა კი ღვთის წინაშე ვერ გავიგე. ამიხსენ, შვილო, დედაშენი ვარ!

— ფუჰ თქვენი... მე მელანია მომყავს ცოლად. არც ჯვრისწერა გვინდა და არც ქორწილი. ტყეში ვიცხოვრებთ. თანახმა ხარ ხომ, გენაცვალე?

მელანიამ გონი დაჰკარგა, იატაკზე გაიშხლართა შვილი, უშვერი ალაგი გამოუჩნდა, მუხლი!

დაუფარა სერგიამ.

— გააბედნიერე თუ მოჰკალი გოგო, შვილო? ეთერ, გოფმანის კაპლი მოიტანე!

— ტყეში ცხოვრება ნებისმიერს გააბედნიერებს, ჩემო, — სთქვა ქეთომ, — მე წავედი! (უნდა ქვეყანას გააგებინოს, ჭირიმეე).

— წადით, წადით ყველა, ო, მელანია... ჩაუქროთ სანთლები, ჰუჰ, ჰუჰ.

სიმღერა მევლუდზე — ახალი

პარმენ ლორიასადმი

ჰე, ჰე, ჰეე...

კანონის და სალონის კაცი არაა მევლუდი. ყაჩაღია: იარაღში ზის. საუკეთესო ცხენი ჰყავს — ლაფშა. გზები, ჰო, ზეპირ იცის, დააბრმავე, მაინც მიაგნებს სამალავს. გლეხობას არ აწუხებს, იცის მათი ყოფა იწრო, გაზინტლული. ქალაქიდან გამოსულ ფოშტის ეტლებს ეცემა, ძარცვავს კარეტებს დიდებულთა, საეკსკურსიოდ გამოწყობილ დამებს სტოვებს სადად, უსამკაულოდ.

ბათუმში დომხალია. სავსეა ქალაქი სპეკულანტებით. კონტრაბანდისტები დაძრწიან ჯგროდ. საქონელი გაგროშკაპიკებულია. ჰყოფნის მევლუდს ფული.

მსროლელადაც ვარგა მევლუდი. ნაძაღლარია, ჩაფრად იდგა პოლიციაში ერთხანს. როცა გაბეზრდა სამსახურით, მიატოვა, დაჯდა სახლში. იწყო მიწის თოხნა სხვებივით. ვერ ეგუა, ამბავიც შეემთხვა — კრიმინალი — და გავიდა ტყეში. გაფირალდა.

სროლას ჩაფრობაში შეეგუა, დაამხეცა, ახლა შვიდი ტყვიით შვიდ ცალ კაცს მიაწვენს, დედებს უტირებს!

მარტოობა — განა მართლა კაცთა ხვედრი. განეწყვე — სძულს მევლუდს. ფიქრი იცის ოხერმა, ფიქრი კი ზღუდავს, ჰბორკავს მევლუდს. არადა საქმე აქვს მოსაყომარებელი. დიდი რამ საქმე. ოთხგნით განთქმული

მენთეშოვის ქარხანა სურს წაიღოს, გაბრდღვნას მისი არტელი, გააცარიელოს.

მითხარი ახლა, ჯიგარო, როგორია ასრეთი კაცისთვის ფიქრი გამო: სიბერის, მამალი წელკავის.

როგორია?

ამალა რჩეული ჰყავს მევლუდს. ექვსი კაცი, ტყვიის ტყვიაში დამჯენი, როგორც რო იტყვიან.

იმათ ელის აწ.

მენთეშოვი კაცია ოქრო. საათი ოქროსი, ოქროსივე კბილები (უაილდი — პარიზში, ეგ ბათუმში აბრუებენ საზოგადოებას). თასმის წვერებიც ამისავე. მარცხენა ხელის არათითზე ჩამოცმული ბეჭედი-თილისმა ძვირფასის თვლით ოქროსი. მენთეშოვი კაცია, მაშ, ოქრო.

ერთი გოგო ჰყავს: კოჭი იმას არ უვარგა და ბარძაყი. საყელოდ დასტრიალებენ აფიცრები. ულვაშებს იგრეხენ, გათამამებულნი ოცნებრივ.

მენთეშოვი კაცია ოქრო, მაგრამ ზნეობის საკითხში — რკინა ხალიბური. დაჰფოფინებს, უფრთხილდება როგორი შრომით მოპოვებულ სახელს.

გოგოს მამისერთას (არა, არსად ჰყავს — გულზე დაიდებს ხელს — სხვა) ეს არ ესმის. იკითხა ვიღაც ჰიუგო და რუსო — ესე ფრანგნი და ეცინება ეხლა მამის დარიგებებზე.

— შვილი მიტრაკებს და კურინნაია სლეპატა. სხვა ყველაფერი კარგადაა, ცხონდი დედაჩემო.

გეგმა-ფლეგმა არცერთი იცის მევლუდმა. პირდაპირ დაეცემა მენთეშოვის იმპერიას, უგეგმოდ. გული ერჩის დღეს ნამეტურ.

აფიცრები ართობენ მენთეშოვის ქალს.

ერთი.

მეორე.

მესამე.

სამხედრო წესად დადგენილი ამბავია უფროსის მორჩილება.

კაპიტანი: წარმოიდგინეთ ესე იყო.

პორუჩიკი: ნამდვილად.

პოდპორუჩიკი: ზუსტად.

ჰა,ჰა,ჰა.

მოწრუპეს შამპანური.

პოდპორუჩიკი უჩურჩულებს პორუჩიკს: ჩვენი, ყაზარმული ანეგდოტი რო მოვყვე, ყაზარმული, შეიძლება?

— არაო, — თავი გააქნია კაპიტანმა. ქალიშვილისადმი კი ესე თქვა:

— გავკადნიერდები, მადმუაზელ, და ერთ ჩვენებურ ანეგდოტს მოგიყვებით.

— გთხოვთ, კაპიტანო, ანეგდოტი ხომ ძაან ცხოვრებისეული რამეა.

ზარი აზრიალდა ამ დროს ელექტრო.

ბედი არ გინდა!

— მამაჩემია, — იწინასწარმეტყველა მენთეშოვამ.

დაიძაბნენ.

მენთეშოვის ქალმა ატეხა კრუსუნი.

„უხდება", — გაიფიქრა პოდპორუჩიკმა.

ოთხივეს ესმა საკეტის ტკაცუნი.

მსახური შემოვიდა და მოახსენა დიასახლისს:

— სამსახურში დარჩება დღეს მამათქვენი. შიკრიკმა მოიტანა სიტყვა.

დასცხეთ მუზიკა!

წინასწარმეტყველებათა დრო წავიდა.

ჩამორჩენილობა ძირს!

ფლურს ითვლის მენთეშოვი. უყვარსო, — უთქვამთ. აწყობს დასტა-დასტა რუბლებს. ჰარიფი არაა, ფულის ხამი. უნახია. წყნარადაა. ეს კია: მზერა აქვს დაძაბული.

— კურინნაია სლეპატა, ფუ, — სთქვა და გადადო დასტა ჩერვონეცების სქელი.

აბა, მე რომელი მენთეშოვის ტოლი კაცი ვარ, ჯერ რო არ გავვოცდე, პლატონ ჩემო, და მერმე არ შემშურდეს, რამოტენა ფულის პატრონია ეს კონჩოლი.

მეც მინდა!

იბრაჰიმ — გვერდზე მიჰყვება მევლუდს — იტყვის:

— გავჩერდეთ ერთ წუთს.

მევლუდი აღვირს მოქაჩავს. ცხენი — მორჩილი — თავს მოატრიალებს, დადგება.

— სათქმელი გაქვს რამე?

— ჰო, მე მარქსისტი ვარ, — ამაყია იბრაჰიმ, — წილს ვითხოვ ორმაგს.

— მარქსს ცალკე და შენ ცალკე, არა? — იღიმის მევლუდი.

— არ მეხუმრება, მევლუდ, — ხელს წაიღებს მარჯვენას მარცხნივ იბრაჰიმ. ნაგანი ეგულება იქა (გინახია, რა თქმა უნდა, ყოჩ-ბიჭური ფიშტო ესე), — დიდი კაცია მარქსი.

— ყიურია იგი. უჩვენოდაც ექნება ფული, — ილიასი ამბობს, ყაჩაღია ისიც.

ღმერთი-რჯული.

— ანტისემიტი ხარ შენ, ოშტოყლარო, — ნაგანს დააძრობს იბრაჰიმ.

— ჩაიდე, ბიჭო, მაგი იარაღი და დაგვტოვე, აუცვი აქედან, პეტერბურგში ჩადი, შენნაირ სწავლულ კაცთა ალაგია ის, იბრაჰიმ ამხანაგო!

ატყდა სიცილი მევლუდის სიტყვის გამო.

— მოგკლავ, ღორიშვილო!

— სამში გრძელს წაიღებ, შეითანო!

ბუჰ!

დაასწრო მევლუდმა — სხარტია, რა — სროლა. მოიკეცა იბრაჰიმ, დაეშვა, დაებერტყა მიწას, ხავის. დავუთვალოთ:

ერთი,

ორი,

სამი,

Out.

გათავდა.

თვალები ილიასმა დაუხუჭა. დაჰხარეს თავები.

ნაგანი იბრაჰიმის მევლუდს მიართვეს!

მენთეშოვმა სეიფი ჩაკეტა. ბუღალტერი იხმო.

— მზათაა საბუთები, დანილა?

წითური კაცი შემოვიდა ოთახში. ქაღალდები დადო მაგიდაზე.

— შეამოწმეთ, ბატონო, — სთქვა თავში დარწმუნებულმა და გავიდა.

— არა, ეს რიჟა უნდა დავითხოვო. დავიღალე კაცი, — ყველებზე დაიდო ხელი, შეხტა. სამჯერ, სამჯერაც ფუ, ფუ, ფუო, — თქვა.

ჰაი, ჰაი, რო არ იყვნენ მაშინ პაპარაცები.

არ უშველა შელოცვამ. ქე დაადგა ათ წუთში ის მევლუდი.

— წარმოების გაჩაღება იხსნის საქართველოსა, პატივი ვცეთ მეწარმეთა, გაუფრთხილდეთ მათ. თ-მა ილია ჭავჭავაძემ მითხრა ესა ტფილისში, გაზეთ „ივერიის" რედაქციაში შევხვდით, — მენთეშოვის გოგომ ღლიური დახურა, — აი ესე მოსაწყენად ცხოვრობს ჩემი მამა, გრძნობთ, როგორ მარტო ვარ, კაპიტანო,

ო, ჩემო კაპიტანო!

ილიას გზის მოწინააღმდეგე (ვაჰმე!) ორნაგანიანი (გავისუსო სჯობს, არ ღირს ხმის ამოღება!) მევლუდი კარს ფეხით მიხურავს:

— ფული ჩქარა!

მენთეშოვი თავს ასწევს.

— ვინ ხარ!

— ყაჩაღი.

— ااა, ახლავე გენაცვალე, ახლავე, — წამოდგება მენთეშოვი (კაცი-ოქრო!), სეიფთან მივა, გააღებს. გამოიტანს ფულს. ,,ოხ, რიჟავ, შენ დედას დაუთმე მე!'' — გულში დააგრიალებს ბრაზს.

მევლუდი მაყუთს დაითრევს (ბევრია!) და გაშპება.

მენთეშოვი ჯდება.

ეხ, ბუღალტერო, დარჩი უსამსახუროდ!

გაუძელ, იახში!

თხრა და გადამწერლობა

I

თხრიან. ებრძვიან მიწას — უძლეველს — ნიჩაბ-წერაქვებით. ეძებენ გამუდმებით. პოულობენ ხანდახან: თასებს — მათით სმიდა სარიბ-თავადი ღვინოს. სამკაულებს — იგინი ამშვენებდნენ თავადის თავისთავად ამპარტავანი მეუღლის ყელ-კისერ-მკერდს, მაჯებს. უფრო ხშირია უბრალო ნივთნი ყმა-მსახურთა.

საუბარში ჭეშმარიტება იკარგება, ჰქრება კამათში. იციან ეს და სდუმან, ყუჩად არიან. ჰფუთავენ ნაპოვნს კოხტად და ჩქარა ავტოთი აგზავნიან თბილისში. იქ ისაუბრებენ. იკამათებენ იქ სხვები. ოღონდაც!

თვის წინ ჩამოვიდნენ აქ: წარუდგინეს გამგებელს გათხრების ნებისდამრთველი ქაღალდი და, რაღაი მუშებისთვის მისაცემი თანხა არ ჰქონდათ, თავადვე დატრიალდნენ. აგვისტოა, მარიამობისთვე ძველებურად, შუა. ცხელა ღამითაც, კარვებში სძინავთ.

მოსაწყენი რამ საქმეა მატიანეთა კითხვა. კირკიტი ძველ რუკებში, მაგრამ ამათთვის აუცილებელი. მერვე საუკუნის მატიანეშია მოხსენიებული ცოლ-ქმარი: სარიბ — ვით მარჯვე მეხრმლე მტერსშეკვდომილი, ხოლო ჰანიფა — „ქალი შვენიერი. მჭრუეტელი ცხოვრებისა ფრიად გონიერ“, ვინაც „სწერდა თვისსა განცდათ გრძელთა ღამეთა შინა“.

— ბატონებო! ისტორიკოსებმა სჩითეს არქივები, მოიარეს ეკლესია-სალოცავები, შეამოწმეს ტაძრები ამაოდ! ვერსად მიაკვლიეს ჰანიფას დღიურებს. არ შემორჩენილა ალი-კვალი მათი. ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ბატონებო, ცოლ-ქმრის სასახლე-საცხოვრებლის ნახატი მაინც გვაქვს საკარაუდო. არქეოლოგია ერის მატერიალურ კულტურას იკვლევს, — განაცხადა ბანკეტზე (ბიჭებს აცილებდნენ) პირველმა არქეოლოგმა, ინსტიტუტის შეფმა. მერე მშვიდობიანი გზა და წარმატებული მუშაობა უსურვა ბიჭებს და სახლში წავიდა, მიატოვა სუფრა, ხალხი.

ეჰ, ცოლი ჰყავდა აშარ-ანჩხლი, მთვრალ ქმარს სახლში არ უშვებდა... ეჰ (მეორედ).

2

შვილო ტერენტი, ჩვენთან არს ღმერთი!

ამაყობს, შვილო, სოფელი შენით! მეიმედება, ხანდახან მაინც მიგონებ მე-უბედურს. მაშო და ზოზია კარგად არიან.

შვილო, დამჩაგრეს ბოლშევიკებმა. გამაპარტახეს. დაერივნენ და თავები დააყრევინეს ჩემს იხვებს, ბატებს, კვატებს, ქათმებს, ინდოურებს. ყელი გამოლადრეს გოჭს — ჩემს ერთას. მერმე გაპუტეს და გატრუსეს ავლა-დიდება ჩემი, წამოაცვეს შამფურებზე, დაატრიალეს ცეცხლზე, თეთრი ხორცი თვითონ სჭამეს (შხამად და ნავთად!), მე გოჭის ყურები ჩავკვნიტე. მეგემრიელა ჭეშმარიტად! ისე, მთლად უნამუსოები არ არიან — აჯიკა თავისი ჰქონდათ.

ძალა არაა თავს ზეით, შვილო. მოხუცი ვარ მე უბედური, უღონო. ბუნტოვჩიკობა ჩემი საქმე არაა.

ახლა უიხვებოდ, უბატებოდ, უქათმებოდ (ვაი, დედა-ჩემო!) და ა. შ. დარჩენილი მთელს დღეებს ჩვენი ეკლესიის საწიგნეში ვატარებ. ვკითხულობ. რამდენი რამ ბრძნული წიგნი მქონია წაუკითხავი მე-უბედურს.

მალე ალბათ გამაძევებენ მე-უბედურ ღვდელსა ეკლესიიდან. კულტურული განვითარების მიზნით კლუბად გარდააქცევენ ეკლესიას. სიმართლე უნდა ითქვას: ახალგაზრდობა მომხრეა. კინო ურჩევნიათ ლოცვას. ფუი, ფუი, ფუი!

ამას წინ, შვილო, საწიგნეში ვიქექებოდი. საკითხავს ვარჩევდი. გული-ცოდვილი — ვერცრო ამოიჭრი, გვაცოცხლებს: იხვებს, ბატებს, კვატებს, ქათმებს, ინდოურებს და გოჭს, ჩემს ერთას — დარდობდა. სივდებოდა. გახეთქვაზე იყო ოხერი, მაგრამ უფლის ნებაა სულიერის დაბადება-სიკვდილი, შვილო!

მოკლედ, ვიქექებოდი წიგნებში გულდასიებული და სრულიად შემთხვევით (ღვთის ნებით ესე იგი) ქაღალდები მომხვდა ხელში. გიგზავნი, შვილო, ამ ქაღალდებს, ვიღაც ჰანიფას ჩანაწერებია (ჩვენი წარსულის გამოჩენილი სახელი რომ იყოს, მეცოდინებოდა). მიკვირს ნამდვილად, მამა მიხეილმა როგორ ვერ იპოვა. ის ჩვენ ეკლესიაში მუშაობდა ერთხანს. მე ნინველი ვიყავ მაშინ. მახსოვს ეჩხუბებოდნენ ავსულნი. რუსო, რუსოო. უწყალებდნენ გულს შეძახილით.

ლაზარე, 1922 წელი

არ მოგენატრა ჩვენებური დაისის ხილვა, ჩქიმსანთელო? ჩამოდი. ნახე!

წევს და ელის. დგას და ელის. დადის პალატაში და ელის. დასეირნობს ეზოში ჰაერზე და ელის მნახველს (ჩვენგან შორს!), სიკვდილს.

წერილებს სწერს დებს, მეგობრებს (ვითომ ჰყავს?) თბილისში. ლექსებს აგზავნის რედაქციაში...

სუნთქავს...

საწოლის უკან რაფაზე დასტა დევს ფურცლების. ღამ-ღამობით იღებს და შუქის ჩაქრობამდე (საგიჟეთის რე-ჟიმი რეგვნული!) კითხულობს.

ჰანიფა — მოსწონს ეს სახელი. ტექსტი რა თქმა უნდა დედანი არაა (ვინ იცის, მერამდენე ვერსიაა; როგორი შე-მოკლებულია ან თუ განვრცობილია, როგორი; წარსული სივრცეა უდროო; ვერ დამყარდება იქ წესრიგი!)

მერე ლექსებს წერს. მართლა იტანჯება გამოგონილი მარტოობით...

ლ. ა.

(დასაწყისი მესამე გვერდზე)

ვერაფრით გაერთობა აქ ქალი, მარტო ჭორაობით. ჰაერი ჩვეულებრივია, თითქმის თბილისური. ვსხედვართ აივან-ზედ. ვსაუბრობთ. ჩემი დიასახლისი ებრაელია — ცნობილია ებრაელთა სიმრავლე სურამში — საგიჟეთში ექიმობდა ად-რე. ახლა 82 წლისაა, სახლში ზის. შვილები, შვილიშვილე-ბი თელ-ავივში ჰყავს. ეხმარებიან იქიდან შეკელებით.

ხმის გამცემი მჭირდება ფულზე მეტადო, — მითხრა შეხვედრისთანავე. ქირას ცოტას მართმევს.

მიყვება ძველ ამბებს. ძირითადად საგიჟეთისას. გრანელი ყოფილა მათთან დამწყვდეული. წყნარი ბი-ჭი იყო, კარგი. იშვიათად სძრავდა კრინტს. ლირწი ქცევაც მახსოვს მისი: ჩეკისტებმა გაჩხრიკეს საავდმყო-ფო ჩვენი. წაიღეს ყველაფერი. ყველაფერი ხელთმოხ-ვედრილი. ტერენტის ფურცლებიც. სიტყვას მართალს ფასი ჰქონდა მაშინ, სდევნიდნენ. გაიძრო ტანისამოსი, ტიტველი დარბოდა ტალანში. ღმერთო, როგორი გამ-ხდარი იყო საწყალი. გააჟრიალებდა მნახველს. ერთი

ფურცელი გადავანარჩუნე, მოვპარე რეგვენთ — ტყვილია, შვილო, ტყვილია. არადა ამტკიცებენ, ვითომც დიდი ჭკუიანნი იყვნენ სახელმწიფოს კაცები. თოფი უჭირავთ ხელში მაგათ (მაგრად უჭირავთ), განახოთ?

სახლში შევედით. მომიტანა ფურცელი. გადავიკითხე, ვთხოვე ეჩუქნა. უარი მითხრა.

— მაშინ მომყიდეთ, — გავწითლდი.

— გადაწერეთ თუ გნებავთ.

რა მექნა? დავჯექი და გადავწერე. აი რა გამოვიდა:

ბედი აქუს თვისი ღმერთს და კაცს. იალონს ვასწრებ ადგომას და ცის გამრუმებამდის გავყურებ გზას. არავინ სჩანს, ომი წყეული! ჰო, ღმერთო იესუ, შენი არგამოგონილი რამ საქმენი მძლავრობენ მიწის-ზე!

იონა მსახური შენი და მოძღუარი ჩემი მიწიერი სიტყვუით თვისით ამაგრებს გულს-ჩემს-დონდლოს.

გესიტყუები შენ ყოვლის გამგონს, მცოდნესყოვლისას. განა შენ არ მომეც გული ესრე მამაკაცური დიაც ჰანიფას, აღელვებს მას სიოც არსაშიში.

ჰე, იესუ კეთილო, მრავალ არს მოთაყუანე ძუელთა კერპთა, ყოფიერობენ იგინი გალაღებულად, ხოლო მე მონაი შენი, წრფელ მონდობილი შენზედ ვიტანჯვი!

არ გთხოვ, ღმერთო ჩემო, საქმეს ესრე შენეულს. არ გთხოვ განკითხუას განლაღებულთა! გეაჯები ოდენ გამო ჩემი მეუღლისა. დამიბრუნე ომში წასული მრთლად!

გაწყალდნენ თუალნი შენგნით ბოძებულნი საჭრუეტად ზეცისა გზის ცქერაში, მტუერს ხედვიან იგინი გარნა.

ღმერთო უბრალოვ, განა შენ არ ესიტყვებოდი უწინ ადამიანთა, თუცა ცოდვილნი იყვნენ იგინიც ჩემებრ, რაით სდუმხარ აწ!

იონა მსახური შენი და მოძღუარი ჩემი მიწიერი ეზოსშინ დატაბუცობს. ჰღალადებს ლოცუათ. თან თუალს მადევნებს, თუალსიმედიანს.

დიდი მეოცნებე იყო ჩვენი ტერენტი. საჭირო როა უშიშროების არქივის დაჩხრეკვა, დამეთანხმებით: ღვთის წყალობით იქნებ ვიპოვოთ სხვა ფურცლებიც...

(გაგრძელება იქნება)

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი"
1991 წლის 20 ოქტომბერი

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დოკუმენტები გაზიდულია!

— ძალიან კარგი! რაღაც-რაღაცეები დატოვეთ ალბათ?!

— რა თქმა უნდა! მოგეხსენებათ, როგორნი ვართ ქართველები. გვსურს ყოვლისმცოდნეობა.

— თქვენ ქალებიც გსურთ ერთი დღით! ეხლა კი საქმე, რჩები?!

— დიახ, ჩემს ერთან!

უშიშროების კომიტეტის შენობას ცეცხლი მოედო!
სპეც. საინფორმაციო გამოშვება
1992 წლის 2 იანვარი

3

თხრიან, ებრძვიან მიწას უძლეველს ნიჩაბ-წერაქვებით. ეძებენ გამუდმებით, პოულობენ ხანდახან. ჰპოულობენ ყველაფერს რაც ძვლებზე მაგარია და გამძლე. რამერუმეებს.

1999

დარჩენილნი

I

პური ნაჭამი, ღვინო დალეული ჩაშხამდათ. წამოიშალნენ. ყარაჩოხელობდნენ ჭირშიაც, მაგრად იდგნენ.

ბიჭს კი მათთან მეხად მოსულს ახარებდა ყურადღება ამოდენა კაცთა, ჰყვებოდა:

— ეგრე საათის წინ ჰნახა რა მამაჩემმა მხატვარი ნიკალა თავის ბინაში მკვდარი.

ვაააჰ! ჭირი და დოზანა სიკვდილს, ყველა მიჰყავს ოხერს განურჩევლად!

დაიძრა ჰამქარი!

— აბა წარსულის მოგონება არ იყოს, არ გვინდა ძერწაობა განავლით, ძმებო! კაცნი ვართ! — ჰაჯიამა სთქვა. ის იყო ჰამქრის სული და გული, კუნთებიც სხვებზე მსხვილი ჰქონდა, — უნდა გავაპატიოსნოთ ნიკალა წესისებრ.

უნდა! უნდა! უნდა!

აჩქარდა ჰამქარი!

ხალხი დაჰხვდათ — ზღვა. გატლეკილი ხალხი, უბრალო, გულისმქონე. ვალდებულნიც იყვნენ: ერთი, ორი...

II.

სკამები სახელობითი იყო. მონახეს სტუმრებმა (სულ რჩეულნი იყვნენ მაშრიყ-მაღრიბიდან. ურთიერთობდნენ ფრანციცულის ენით) თავთავიანთი. მოერგნენ.

თამადობდა კაცი გერმანთა ქვეყნიდან, ლაპარაკობდა მოკლედ, სვავდა ცოტას, საზომისაებრ.

— ქართველი ერი თავისუფალი გახდა!

„როგორ მოულოდნელად მერე, — ჰფიქრობდა (ფიქრი, ჰო, ყველას თავისი აქვს, მძიმე თუ სუბუქი!) ნოე, — ვინ არ ვყოფილვარ წარმოსახვაში: მექარხნე მიუნხენელი, ჟორესი, ქრისტე კვლავმოსული, დონ ჟუანი, მაგრამ პრემიერ-მინისტრი არაოდეს, არადა ვარ, მამაძაღლი!"

— და უმთავრეს: ჩვენ თქვენთან ვართ აწ და მარადის!

(ტაში ხანგრძლივი, — გაიფიქრა ნოემ. ან თუ ინატრა ნოემ)

აუხდა...

III.

არ დაანება ჰაჯიამ ქალებს: თვითონ, თავისი ხელით დაჰბანა გვამი. ნიკალ, როგორ დამძიმდი, ბიჭოო... მერე შემოსა, დაჰვარცხნა თმა-წვერი. სტიროდა.

IV.

აამოძრავა დირიჟორმა ხელები. აათამაშა. აჟღერდა ორკესტრი. შტრაუსი-ვალსი.

დაწყვილდნენ მესუფრენი. ნოეს ერგო მომრგვალო ქალი, სიგანეში წასული. მეუღლე-ცოლი ბრიტანელი საქმოსნისა. ბიზნესის დასატრიალებლად იყო ჩამოსული ინგლისელი ჩვენთან საქართველოში.

მოეხვივნენ ერთურთს, დატრიალდნენ. ეხერხებოდა ნოეს ცეკვა, შემოევლოს დედა!

V.

გაიშალნენ ჰირისუფალნი, გზა მისცეს მეკუბოვეს. საქმის მცოდნე იყო დიდი არტაშა. ხელი ჰქონდა ბაჯაღლო.

შევიდა ოთახში. როგორ ღარიბულ ოთახში, კაცოო.

— სიცოცხლე ჰაჯიას.

— შენც ეგა, არტაშ.

— ჰაჯიაჯან, მასალის ფულს ავიღებ მარტო. ხელობა ფეშქაში იყოს. მიყვარდა, იცი შენ, უბედური, — სთქვა არტაშამ და გაშალა მეტრიანი.

VI.

— მადამ მარგარიტ, — ეჩურჩულებოდა ნოე ქალს, წვერით ეხებოდა მის ლოყას ფუმფულას, — მოგწონთ ჟორჟია?

მადამ მარგარიტმა თავი გადასწია უკან, გაიღიმა:

— მე პირველად არ ვარ თქვენთან!

— როგორ? — გაოცდა ნოე. ცეკვაც კი შეწყვიტა, მხოლოდ წამით.

— როგორდა ისე, ვცხოვრობდი მე აქ ადრე.

— მომიყევით, მადამ მარგარიტ, გთხოვთ.

— სხვა დროს! ეჰ, ცოტა ახალგაზრდა რომ იყოთ, მუსიო ნოე, დაგპატიჟებდით ჩემთან ოთახ-კიდობანში.

აი სიტყვებმა ხო ააღზნო ნოე, მაგრამ საკუთარი ლაჯების შუა ქალის ხელი რო იგრძნო, გადაირია მთლად.

არა, ე ევროპელნი სხვანაირი თამამი ხალხია! ჩვენი არ იყოს!

VII.

მეტრიანი დაკეცა. ჯიბეში ჩაიდო არტაშამ.

— კაი კაცი იყო საწყალი ნიკალა.

— საუკეთესო, — დაუდასტურა ჰაჯიამ.

— ოღონდ ნამეტანი თვითრჯული, გახსომს კაფეშანტანის ტუტრუცანას რო ჰყვარობდა, — გაიღიმა არტაშამ, — სადაა ეხლა ნეტავ?

— თბილ ქვეყნებში, ჩემო არტაშ, — სთქვა და კუთხეში ჩაჯდა ჰაჯია ჩვენი...

VIII

დირიჟორი ხელებს იქნევდა; მარჯვენას, ჯოხიანს — შმაგად უფრო...

1999